

სტატიკური განზომილებიანი ზმნები ქართულ ენაში

თინათინ კილურაძე

1. ობიექტის განზომილების გამოხატვის ფორმები

სტატიკური განზომილებიანი ზმნების ცნება შემუშავებულია დისკუსიური ცნებების და ფრეიმების ურთიერთმიმართებას. სტატიკური განზომილებიანი ზმნები (შემდგომში სგზ) პირდაპირ მიმართებაშია ფუნქციურ ცნებებთან [ლიობნერი, 1979:34] თავისი სემანტიკიდან გამომდინარე ობიექტის განზომილების გამოხატვის ასპექტში.

ობიექტის განზომილება შეიძლება გამოიხატოს სამი სხვადასხვა საშუალებით:

(1.ა.) სახელური ვარიანტი:

ვაშლის ფასი არის სამი ევრო.

შდრ.

The price of the apples is three euros.

Der Preis der Äpfel ist 3 Euro.

(1.ბ.) ზედსართავული ვარიანტი:

*ვაშლი სამი ევრო ძვირია.

შდრ.

**The apples are three euros expensive.*

Die Äpfel sind drei Euro teuer.

(1.გ.) ზმნური ვარიანტი:

ვაშლი ღირს სამი ევრო.

შდრ.

The apples cost three euros.

წინამდებარე შრომის მიზანია სტატიკური განზომილებიანი ზმნების გრამატიკული და სემანტიკური მახასიათებლების კვლევა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სტატიკური“ სემანტიკური დატვირთვით გამოიყენება და არ შემოიფარგლება მხოლოდ მორფოლოგიურად მარკირებული-ი-ა დაბოლოების მქონე სტატიკური ზმნების ტიპით. ამ გაგებით, ინვერსიული ზმნების ნაწილი, გრძნობა-აღქმის

ზმნები (ისმის, ჟღერს, ჩანს) და სხვა ზმნები სტატიკურ ზმნებად მოიაზრება მათი შინაარსობრივი მხარიდან გამომდინარე.


სგზ-ს ძირითად მახასიათებლები შემდეგში მდგომარეობს:

- ა. სგზ თავისი შინაარსით სტატიკურია, ოღონდ სხვა სტატიკური ზმნებისგან განსხვავებით თავისი სუბიექტის რეფერენტის თვისებების რეალიზებას ახდენს;
- ბ. სგზ-ში გამოიხატება მოცემული თვისების განზომილება;
- გ. ყველა სგზ-ს მოეპოვება შესატყვისები ფუნქციური ცნებების სახით.

2. სგზ და ფუნქციური ცნებები

სტატიკური განზომილებიანი ზმნის ცნება მჭიდროდ უკავშირდება ფუნქციურ ცნებებს [ლიობნერი 1979:34] და ფრეიმების სახით წარმოდგენილ ატრიბუტული ღირებულებების წყვილებს [ბარსალუ 1992:21, პეტერსენი 2007, გამერშლაგი 2008]:

ფუნქციური ცნება ↔ სგზ
 სახელი ↔ ჰქვია



ქართულ ენაში სტატიკურ განზომილებიან ზმნებს სისტემატიკური შესატყვისები აქვს ფუნქციური ცნებების სახით როგორც სემანტიკურ, ასევე (გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით მორფოლოგიურ დონეზე:

სტატიკური განზომილებიანი ზმნები:

(2.ა) ვაშლი ორ კილოს **ი-წონ-ი-ს** და სამი ევრო **ღირ-ს**.
ფუნქციური ცნებები:

(2.ბ) ვაშლის წონა არის ორი კილო, ხოლო ფასი – სამი ევრო.

თუმცა სახელად და ზმნურ ვარიანტებს შორის ზუსტი შესატყვისობა მორფოლოგიურ დონეზე ზოგ შემთხვევაში არ მოგვეპოვება არც ქართულ და არც სხვა ენებში:

	ქართული	გერმანული	ინგლისური	ფრანგული
(3)ზმნური ვარიანტი	(3.ა) ჰქვია	(3.ბ) heißen	(3.გ) Ø	(3.დ) s'appeler
(4)სახელადი ვარიანტი	(4.ა) სახელი	(4.ბ) Name	(4.გ) name	(4.დ) nom
(5)ზმნური ვარიანტი	(5.ა) ღირს	(5.ბ) kosten	(5.გ) to cost	(5.დ) coûter
(6)სახელადი ვარიანტი	(6.ა) ფასი	(6.ბ) Preis	(6.გ) price	(6.დ) prix

მაგალითს (3.ა) საერთოდ არ გააჩნია მორფოლოგიურად შესატყვისი სახელადი, შესაბამისად არც მაგალითს (4.ა) გააჩნია შესატყვისი ზმნური ვარიანტი (ხელობს*).

(5.ა) და (6.ა)-ს აქვს ასეთი მორფოლოგიურად იდენტური სახელადი და ზმნური ვარიანტები, მაგრამ მორფოლოგიურად შესატყვისი ზმნურ-სახელადი წყვილები სემანტიკურად არ შეესაბამება ერთმანეთს განზომილების გამოხატვის მხრივ:

(7.ა) ღირს → ღირებულება

ადგილი აქვს სიტყვის მნიშვნელობაში ცვლილებას კონკრეტულიდან აბსტრაქტულსკენ, როგორცაა მნიშვნელობის შეცვლა კონკრეტული, მატერიალური ფასიდან („ღირსლარი, ევრო...“) აბსტრაქტული, არამატერიალური „ღირებულებისკენ.“ თუმცა ამდაგვრად განზოგადება თვით ზმნის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების არეალშიც შეინიშნება:

(7.ბ) კონცერტზე წასვლა ღირს.

მაგალითი (7.ბ) განზოგადების პროცესის შუალედური მაჩვენებელია, რომელშიც აღარც კონკრეტული ფასის მნიშვნელობა აღარაა, მაგრამ განზოგადების პროცესი ჯერ არ არის მისული სახელადი ვარიანტის „ღირებულების“ მსგავსს დონემდე.

ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი შემდეგ შემთხვევაშიც:

(8.ა) ფასი → ფასობს

მატერიალური ცნება „ფასი“ განზოგადებას პოულობს არამატერიალური ღირებულების მსგავსად:

(8.ბ) მაგ. მისი სიტყვა ფასობს.

ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ განზოგადების ტრანექტორიას ზმნის გამოყენების არეალის მიხედვით:

(8.გ) კიტრი წელს ძვირად ფასობს.

(7.ბ)-ის დარად, აქაც გვაქვს შუალედური ვარიანტი (8.გ), რომე-

ლიც აღარც კონკრეტული ფასის ცნებას უტოლდება, მაგრამ არც აბსტრაქტულ ცნებას „ფასობს“ (8.ბ) შეედრება.

განსხვავებული სახის ცდომილება გვაქვს სხვა შემთხვევებში, როცა ცალკეულ მორფოლოგიურად და ერთი შეხედვით სემანტიკურადაც იდენტური ზმნურ-სახელადი წყვილები (მაგ. ფლობა და მფლობელი) განზომილების გამოხატვის მხრივ არ შეესატყვისება ერთმანეთს: მაგალითად, „მფლობელი“ ფუნქციური ცნებაა, მაგრამ ზმნა „ვფლობ“ არ წარმოადგენს სტატიკურ განზომილებიან ზმნას, რადგან, ის რასაც სემანტიკური სუბიექტი ფლობს, რაიმე გარკვეულ განზომილებაში ვერ მოიაზრება:

(9) ნანუკა ფლობს ოთხ ენას / სამ მანქანას / ერთ ბინას

სამაგიეროდ, „მეკუთვნის“ ზმნა გამოხატავს განზომილებას, კერძოდ, მფლობელს ფუნქციური ცნების სახით:

(10) მანქანა ეკუთვნის ირინას / სერგოს / ლიას / ფირმას / კომპანიას ...

სუბიექტი ამ შემთხვევაში გარკვეული საგანი გახლავთ, რომელიც ვილაცას ან რაიმე ორგანიზაციას ეკუთვნის. შესაბამისად, სუბიექტის (ამ შემთხვევაში, მანქანის) ერთ-ერთი მახასიათებელია ვილაცისადმი კუთვნილება, ხოლო ამ ზმნის სემანტიკური სახელადი შესატყვისია – ფუნქციური ცნება – მფლობელი. შესაბამისად ამ შემთხვევაში ზმნური-სახელად წყვილს წარმოადგენს: ეკუთვნის – მფლობელი და არა ფლობს – მფლობელი.

3. სგზ და განზომილების გამოხატველი ზედსართავული / ზმნიზედური ვარიანტები

როგორც ვნახეთ, ქართულში კარგად არის გამოკვეთილი ურთიერთმიმართება სგზ და ფუნქციურ ცნებებს შორის. სამაგიეროდ, აბსოლუტური ასიმეტრია გვაქვს ზედსართავის და ზმნიზედის მიერ განზომილების გამოხატვის მხრივ. ზმნიზედებს საერთოდ არ აქვს განზომილების კონკრეტული სპეციფიკაციის გამოხატვის ფუნქცია ქართულში:

- (11) ზედსართავული ვარიანტი:
*ვაშლი სამი ევრო ძვირი არის.
შდრ.
**The apples are three euros expensive.*
Die Äpfel sind drei Euro teuer.

ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში ქართულ ენაში გამოიყენება ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული ზედსართავი სახელისგან ნაწარმოები არსებითი სახელები:

(12.ა) ხე ორი მეტრის სიმაღლის არის.

შდრ.

(12.ბ) *ხე ორი მეტრი მაღალი არის.

თუმცა ასეთი ვარიანტიც (12.ა) იშვიათად გვხვდება.

სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართულ სტატიკურ განზომილებიან ზმნებს არ გააჩნია არც ზმნიზედის სახით შესატყვისი კონკრეტული ღირებულების სპეციფიკაციის გამოხატვის ვარიანტები:

(13.ა) ზმნიზედური ვარიანტი:

*მას უცნაურად ჰქვია

ამგვარი შინაარსის გამოსახატავად ქართული განზომილების გამომხატველ სახელად ვარიანტებს (ანუ ფუნქციურ ცნებებს) მიმართავს:

(13.ბ) მას უცნაური სახელი ჰქვია.

4. მარტივი / პირველადი სტატიკური განზომილებიანი ზმნები

პირველადი სტატიკური განზომილებიანი ზმნები წარმოადგენს სემანტიკური ნიშნით გაერთიანებულ ზმნათა ჯგუფს, რომელიც ქართულ ენაში მორფოლოგიური ნიშნით მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი: აქ გვხვდება, როგორც სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები, ასევე, საშუალი გვარის, ინვერსიული და სტატიკური ზმნები.

(14)

სგზ	განზომილება
ა. ვაშლი სამი ევრო ღირს.	ფასი
ბ. მას ჰქვია გელა.	სახელი
გ. სახლი მდებარეობს ტყის პირას.	მდებარეობა
დ. ოპერა გრძელდება სამ საათს.	ხანგრძლივობა
ე. 'monde' ნიშნავს სამყაროს.	მნიშვნელობა
ვ. მანქანა მარინას ეკუთვნის.	მფლობელი

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მიუხედავად მორფო-სინტაქსური მრავალფეროვნებისა, ყველა სტატიკური განზომილებიანი ზმნა საჭიროებს განზომილების სპეციფიკაციას: ფასი – სამი ევრო, სახელი – გელა და ა.შ. შესაბამისად, ეს ზმნები ცალკეული განზომილების სპეციფიკაციის სახით წარმოადგენს ობიექტის გარკვეული თვისების რეალიზაციას.

5. განზომილების გამოხატვის სახეობები და თავისებურებები

განზომილება, რომლის სპეციფიკაციასაც ახდენს სგზ შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს.

5.1 სკალარული და არასკალარული განზომილება

ზოგიერთი განზომილება შეიძლება მოიცავდეს სკალარული რიგით განსაზღვრებად სპეციფიკატორებს. სკალარული განზომილების ნიმუში გვაქვს 14.ა-ში: ფასი სკალარული განზომილებაა. მის ცვლადთა არეალი ვცვლდება 1 ერთეულიდან უსასრულობამდე: მაგ. ერთი თეთრი, ერთი ლარი, ათასი ლარი და ა.შ. იგივე ეხება ხანგრძლივობის განზომილების ცვლადთა არეალს: ერთი წუთი, 1 საათი, 3 საათი და ა.შ. ყველა დანარჩენი მაგალითი არასკალარული განზომილების გამომხატველია: სახელი, მფლობელი, მდებარეობა, მნიშვნელობა.

5.2 განზომილების შიდა და გარე სპეციფიკაცია

ზოგიერთ ზმნაში შეიძლება იყოს გამოკვეთილი განზომილების რომელიმე ცაკლეული ასპექტი. მაგ.:

(15) ნაგავი ყარს.

ყარს ზმნის განზომილებას წარმოადგენს „სუნის ქონა“, თუმცა ზმნაშივე არის დაფიქსირებული სპეციფიკაცია, თუ როგორი სუნის ქონას ეხება საქმე: კერძოდ, ცუდი სუნი, რაც თვით ზმნაში არის შიდა სპეციფიკაციის სახით გადმოცემული.

სხვა, პროტოტიპულ სგზ-ში განზომილების ცალკეული ცვლადი თვით ზმნაში არ არის ხოლმე გადმოცემული და გარე სპეციფიკაციის სახით გვაქვს წარმოდგენილი. მაგ:

ვაშლი ორი ლარი ღირს. აქ სგზ „ღირს“ ფუნქციური ცნების სრული შესატყვისია, რომელშიც ნებისმიერი ცვლადი შეიძლება ჩაჯდეს 1 თეთრიდან X ლარის ჩათვლით. ამ ზმნებისგან განხვავებით შიდა სპეციფიკაციის მქონე სგზ-ს არ ესაჭიროება გარე სპეციფიკატორი, თუმცა უფრო კონკრეტული სპეციფიკაცია გამორიცხული არ არის:

(16) ნიაზი ნივრის სუნით/სუნად ყარს.

5.3 აბსოლუტური გამოყენება

ქართულ ენაში სგზ აბსოლუტური გამოყენების მაგალითები საერთოდ არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით, ზოგიერთ სგზ-ს არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების არეალს:

(17) ამ კონცერტზე წასვლა ღირს.

თუმცა ამ შემთხვევაში ზმნა ღირს, არ გამოიყენება მისი პროტოტიპული განზომილების გამომხატველი მნიშვნელობით (2 ლარი, 3 ევრო ღირს...). ქართული ენა, როგორც ჩანს, არ უშვებს აბსოლუტურ გამოყენებას, განსხვავებით სხვა ენებისგან, მაგალითად, გერმანულისგან [გამერშლაგი 2008: 1]:

(18) Der Koffer wiegt (wiegt viel / ist schwer)

*ჩემოდანი იწონის (იგულისხმება – ბევრს იწონის, მძიმეა).

ქართულში აბსოლუტური გამოყენების ნიმუშები მხოლოდ სახელად პერიფრაზებთან შეინიშნება, რომელსაც შესაბამისი ზმნური ვარიანტი საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ შინაარსობრივად შეესაბამება სგზ-ის აბსოლუტური გამოყენების მაგალითებს, მიუხედავად იმისა, რომ „გემოს ქონის“ და „სუნის ქონის“ ზმნური ვარიანტები ქართულში არ გვაქვს:

(19.ა) ფეხსაცმელს სუნი აქვს (ცუდი).

(19.ბ) საჭმელს გამო აქვს (კარგი).

5.4 ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანი სგზ

სგზ-ს მიერ გამოხატული თვისება შეიძლება იყოს რამდენიმე განზომილების მომცველი.

ერთგანზომილებიანია განხილულ ზმნათა უმრავლესობა. ორგანზომილებიანი ზმნები კი ძირითადად ადგილმდებარეობის გამომხატველი, ლოკატიური ზმნებისგან შედგება, რომელთა მეორე განზომილება წარმოადგენს ლოკაციის რაგვარობას.

(20.ა) სურათი კედელზე კიდია.

(20.ბ) წიგნები თაროზე ალაგია.

აქ ერთი მხრივ გვაქვს ლოკაციის გამოხატულება, ხოლო მეორე მხრივ რაგვარობის, – თუ რა სახით მდებარეობს ობიექტი ამა თუ იმ ადგილზე: აფენია, ალაგია, აწყვია, დგას, წევს, ზის ...

სტატიკური ორგანზომილებიანი ზმნები ქართულში ძალიან მრავალფეროვანია და სგზ ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენს. აქ გაერთიანებულია როგორც მორფოლოგიური ნიშნით გაერთიანებული სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები (აფენია, აწყვია, ულაგია, ყრია), ასევე, სემანტიკურად სტატიკურობის გამომხატველი სხვა ზმნებიც, რომლებიც საშუალი გვარის ზმნებად მოიაზრება: დგას, წევს, ზის ... თუმცა ამ ორი ქვეჯგუფიდან, მორფოლოგიური ნიშნით გაერთიანებული სტატიკური ვნებითი გვარის გვარის ზმნები უფრო მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანია. საინტერესოა ამ ქვეჯგუფის სტრუქტურა და დიაქრონია, რადგან ამ ზმნათა ერთი ნაწილი სამგანზომილებიანიც კი არის.

მორფოლოგიური ნიშნით გამოკვეთილი სტატიკური ადგილ-მდებარეობის ზმნების 1-ელი და მე-2 პირის ფორმები მეშველზმნიანია:

Ø/ა/უ- ძირი- ი- ვარ/ხარ

მე-3 პირის ფორმა:

Ø/ა/უ- ძირი- ი-ა

(21)

ა. საარვისო ქცევა	ბ. საზედაო ქცევა	გ. ე.წ. სასხვისო ქცევა
ფენია	ა-ფენია	უ-ფენია
გღია	ა-გღია	უ-გღია
ყრია	ა-ყრია	უ-ყრია
წერია	წერია	წერია
სცხია	სცხია	სცხია
ხატია	ა-ხატია	უ-ხატია
-	ა-წყვია	უ-წყვია
-	ა-სხია	-
-	-	უ-კეთია
კიღია	-	უ-კიღია

ეს ზმნები მრავალფეროვანია ქცევის ნიშანთან მიმართებაშიც: უმეტესობას ახლავს საზედაო და ე.წ. სასხვისო ქცევის ნიშანი, რომელიც ამ შემთხვევაში ადგილ-მდებარეობის დამატებით განმსაზღვრავ ელემენტს წარმოადგენს: ერთი გამოიყენება საზედაო ფუნქციით, ანუ „ზედდების“ მნიშვნელობის შემცველია (21.ბ), ხოლო მეორე (21.გ) – რომელიმე პირთან ახლოს მდებარეობას გამოხატავს (მიფენია, გიფენია, უფენია). შესაბამისად ამ ქცევის ნიშნებს ცალკეულ სტატიკურ ზმნებთან მესამე განზომილება შემოაქვს:

აყრია: 1 განზომილება – ადგილმდებარეობა ზოგადად;

მე-2 განზომილება – მდებარეობის რაგვარობა (აყრია vs. აფენია);

მე-3 განზომილება – ზედაპირზე მდებარეობა (აყრია vs. ყრია / უყრია)

საინტერესოა მორფოლოგიურად მარკირებული სტატიკური ზმნების ამ ჯგუფის ზმნების დიაქრონიის საკითხიც,

დიაქრონული თვალსაზრისით, ზმნისწინის დამატებით ხდება სტატიკური ლოკაციის ზმნების გადინამიურება [ფხაკაძე 1984:53], შესაბამისად გარდამავალი ზმნის წარმოქმნა:

(22.ა) უწერია vs. და-უწერია

(22.ბ) უფენია vs. და-უფენია

ევალუაციის ეს გზა რადიკალურად განსხვავდება გერმანული თუ ფრანგული სგზ განვითარების გზისგან, სადაც გარდამავალმა ზმნებმა შეიძინა სტატიკურობის შინაარსი, ხოლო სტატიკური განზომილებიანი ზმნები შედარებით გვიანი განვითარების ეტაპზე წარმოიქმნება ენაში და ფუნქციური ცნებების განვითარების წინარესაფეხურს უკავშირდება.

6. მეორეული სგზ

გარდა პროტოტიპული სგზ-სა, ზმნების ცალკეული ნაწილი იძენს სტატიკურ განზომილებიანი ზმნის შინაარსს გარკვეულ კონტექსტში ან რაიმე მექანიზმის საშუალებით. ასეთი მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნების წარმოების მექანიზმები სხვა ენებში არის (ა) ჰაბიტუალური წაკითხვა და (ბ) უპირო კონსტრუქციები.

ჰაბიტუალური წაკითხვა, ანუ შესაბამისი კონტექსტი, განმსაზღვრელია ისეთ სტატიკურ ზმნებთან როგორცაა დგას, წევს, ზის... ეს ზმნები მორფო-სინტაქსურად საშუალო ზმნების რიცხვს მიეკუთვნება, ხოლო შინაარსით სტატიკურია, თუმცა პირველადი მნიშვნელობით არ წარმოადგენს სტატიკურ განზომილებიან ზმნებს, რადგან პროტოტიპულად მათი ფუნქცია არ არის სუბიექტის თვისების გამოხატვა. თუმცა გარკვეულ კონტექსტში ისინი ამ ფუნქციას იძენენ:

(23) ძეგლი დგას რუსთაველის გამზირზე.

(24) ქურდი ციხეში ზის.

(25) მდინარე მიიკლავება ხევში.

ჰაბიტუალურ კონტექსტში ასეთი ზმნები ტემპორალურობას, დროის გაგებას კარგავს და იქცევა ატემპორალურ, სუბიექტის თვისების გამომხატველ სგზ-დ.

ჰაბიტუალურ კონტექსტში თვით გარდამავალმა ზმნებმაც კი შეიძლება შეიძინოს სტატიკური მნიშვნელობა [სუხიშვილი 1976: 96].

რაც შეეხება მეორეული სგზ-ს წარმოქმნის მეორე მექანიზმს, უპირო კონსტრუქციებს, ქართულ ენაში ასეთ შემთხვევებში გამოიყენება მორფოლოგიურად კარგად გამოკვეთილი ყალიბი ე.წ. „დინამიკური ვნებითი გვარის“ ზმნებისა, რომლებსაც ისედაც ახასიათებს „ზოგადობის, განყენებულობის სემანტიკა“ [ლვინაძე 1989:86]: ი-ყიდ-ებ-ა,

ი-კითხ-ებ-ა, ი-წერ-ებ-ა, ი-მღერ-ებ-ა და ა.შ. მოცემული ზმნები თავიანთი პირველადი მნიშვნელობით, არასტატიკური, ე.წ. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებია:

(26.ა) აქ ვაშლი/მხალი/წიგნები იყიდება.

თუმცა გარკვეულ კონტექსტში, ჰაბიტუალური წაკითხვის შემთხვევაში ეს ზმნები იძენს სტატიკური განზომილებიანი ზმნის სემანტიკას:

(26.ბ) ეს წიგნი კარგად იყიდება.

(26.გ) ხელნაწერი არ / ძნელად იკითხება.

მოცემულ მაგალითში ზმნა აღარ გამოხატავს პროცესს, არამედ წარმოადგენს ობიექტის (წიგნის) თვისებას, კერძოდ მისი „გაყიდვადობის“ თვისებას.

კონტექსტის მიხედვით დინამიკურიდან სგზ-დ სახეცვლილების თვისებას გააჩნია არა მხოლოდ პრეფიქსიან, არამედ ყველა ე.წ. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს (სუფიქსიანი და უნიშნო):

სუფიქსიანი 'ვნებითი გვარის' ზმნები:

(27) წყალი ას გრადუსზე დუღდება.

ამ კონტექსტში ზმნა უდროოა და კონკრეტული პროცესის მაგივრად, წყლის თვისებას გადმოსცემს.

(28) ოპერა სამ საათს გრძელდება.

მოცემულ კონტექსტში ზმნა „გრძელდება“ იკითხება არა როგორც პროცესის აღმნიშვნელი ზმნა, არამედ ოპერის მახასიათებლის (3 საათის ხანგრძლივობის) გადმომცემი ზმნა და ამ გაგებით, ატემპორალური, ანუ დროის გაგებას მოკლებული ზმნების რიცხვში შედის.

ზუსტად იმავე მოვლენას აქვს ადგილი უნიშნო 'ვნებითი გვარის' ზმნებთანაც:

(29) ყინული 4 გრადუსზე დნება.

მეორეულ სგზ-ში უფრო ნათლად გამოიკვეთება სუბიექტის თვისების ასახვის ასპექტი, რადგან მათ პირდაპირი მორფო-სემანტიკური შესატყვისი გააჩნიათ ფუნქციური ცნებების სახით: დნობადობა, კითხვადობა, ხანგრძლივობა.

თანაც პირველადი სგზ-სგან განხვავებით მეორადი სგზ ქართულშიც უშვებს კომბინაციებს ზმნიზედური ვარიანტებით:

(30.ა) წიგნი ადვილად / კარგად / სწრაფად იკითხება.

(30.ბ) ეს კერძი გემრიელად / სწრაფად / ცივად იჭმევა.

7. გრძნობა-აღქმის ზმნები

გრძნობა-აღქმის სტატიკურ განზომილებიან ზმნებს ვიბერგის სისტემატიზაციის მიხედვით [Viberg 1984] ინგლისურ ენაში შეესაბა-

მება შემდეგი ზმნები: look, smell, taste, sound, feel შესაბამის კონცეპტ-სტში:

(31.ა.) This car looks nice – ეს მანქანა ლამაზია;

(31.ბ.) The soup smells good – წვნიანს კარგი სუნი აქვს;

(31.გ.) The soup tastes delicious – წვნიანი გემრიელია / კარგი გემო აქვს;

(31.დ.) This melody sounds good – ეს კარგი მელოდიაა;

(31.ე.) This fabric feels nice – სასიამოვნო ქსოვილია.

წინადადებების თარგმანებიდან ჩანს, რომ ქართულში ინგლისური ზმნების შესატყვისი ზმნები არ მოიპოვება. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ქართულშიც შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთ გრძნობა-აქტის ზმნას სტატიკურ განზომილებიანი ზმნის სემანტიკა:

(32) ეს გოგონა ლამაზად გამოიყურება.

თუმცა ეს ზმნა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება: მისი გამოყენების არეალი ძირითადად ადამიანების გარეგნობით შემოიფარგლება და დასაშვები ზმნიზედების არეალიც საკმაოდ შეზღუდულია.

(33) ეს გოგონა ლამაზად/მშვენივრად/კარგად/ცუდად გამოიყურება.

(34) ეს მანქანა კარგად გამოიყურება.

მაგრამ

(35) ეს მანქანა *ლამაზად / (*)მშვენივრად / *ცუდად / *ძვირად გამოიყურება.

იშვიათი გამონაკლისი გვაქვს შემდეგი მაგალითის სახით:

(36) რა მადისაღმძვრელად გამოიყურება ეს ხაჭაპური!

თვით ეს ზმნაც საინტერესო თავისი ფორმისა და შინაარსის ურთიერთ-მიმართების კუთხით, რადგან ფორმის მხრივ ის არის „პრეფიქსული ვნებითი გვარის“ ზმნა, მაგრამ სემანტიკურად არ შედის ამ ზმნების ჯგუფში და წარმოადგენს დეპონენტურ ზმნას, რომლის ფორმა და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს.

(31.ბ.) და (31.გ) შესაბამისი ზმნები საერთოდ არ არსებობს ქართულში. თუმცა პერიფრაზირება არის შესაძლებელი „იგრძნობა“ ზმნის მეშვეობით:

(37) ნივრის გემო / სუნი იგრძნობა.

პარადოქსია, რომ აღნიშნული ზმნა შეგრძნების აქტის მნიშვნელობით, რაც ამ ზმნისთვის ცენტრალური მნიშვნელობა უნდა იყოს, არ გამოიყენება (შდრ. 31.ე):

(38) *ნაჭერი სასიამოვნოდ იგრძნობა.

ამ ზმნის გამოყენების არეალი შემოიფარგლება გემოს, სუნის და ტემპერატურის აღმნიშვნელი სახელებით.

რაც შეეხება სმენის ორგანოს შესაბამის სგზ-ს, ქართულში ზმნა „ისმინება“, სხვა ენებისგან განსხვავებით, შემოიზღუდება მუსიკით ან მოსასმენი ტექსტით:

(39) შტოქჰუაზენის მუსიკა ძნელად ისმინება.

გრძნობა-აღქმის ზმნებში ამ დანაკლისს ნაწილობრივ ავსებს ზმნა „ჩანს“, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული თითქმის ჩამოთვლილ მაგალითში (31) თუმცა შეზღუდვა აქაც გვაქვს: სუნის განზომილებასთან:

(40.ა) ხედვა / გარეგნობა:

i. გოგონა ლამაზი ჩანს.

ii. გამოყენების გავრცობილი არეალი (გარეგნობა → შინაარსი):

ეს ტექსტი რთული ჩანს. / რთული ტექსტი ჩანს.

(40.ბ) გემო: წვნიანი გემრიელი ჩანს. / გემრიელი წვნიანი ჩანს.

(40.გ) ჟღერადობა: მელოდია კარგი ჩანს. / კარგი მელოდია ჩანს.

(40.დ) შეგრძნება: ნაჭერი რბილი ჩანს. / რბილის ნაჭერი ჩანს.

არსებული ნიშა „ჩანს“ ზმნით მხოლოდ ნაწილობრივ ივსება, რადგან აქ მაინც დომინირებს „ხედვის“ მომენტი და გადმოცემული შინაარსი ორგვარად შეიძლება იყოს გაგებული:

1. როგორც უშუალოდ გრძნობის ორგანოს აღქმის შედეგი, თუმცა აღქმის საწყისი სტადია მოიაზრება და შესაბამისად დაურწმუნებლობა; ან 2. არა ცალკეული გრძნობის ორგანოს მიერ აღქმული, არამედ ჯერ მხოლოდ „ნახულის“ და ნახვის შედეგად გამოთქმული ჰიპოთეზის სახით.

გარდა ამისა შეზღუდვა მოქმედებს ზმნიზედის გამოყენებასთან დაკავშირებითაც: თუ ჩანს ზმნასთან ზმნიზედის ვიყენებთ, მაშინ უკვე სუბიექტის თვისების რეალიზაციის მაგივრად ზოგადად ხილვადობის ხარისხის დაკონკრეტებას ვახდენთ. შდრ.:

(41.ა) მინდორი კარგად ჩანს.

(41.ბ) მინდორი კარგი ჩანს – კარგი მინდორი ჩანს.

8. სგზ-ს, როგორც ცალკე გამოკვეთილი ზმნათა ჯგუფის კვლევის არსი

სტატიკური განზომილებიანი ზმნების გამოკვეთა ქართულ ენაში გვაძლევს საშუალებას სემანტიკური თვალსაზრისით ვიკვლიოთ ცალკეული ზმნების ტიპები; ტრადიციული მორფო-სინტაქსური და-ყოფის პარალელურად ვიკვლიოთ ზმნები სემანტიკური დაჯგუფებიდან გამომდინარე. როგორც ვნახეთ, სემანტიკური ნიშნით გაერთიანებულ ზმნებსაც აქვს ისეთი თავისებურებები მორფო-სინტაქსური

თვალსაზრისით, როგორცაა მაგალითად, მეორეული სგზ-ის წარმოების მექანიზმები პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების სახით, ან შეზღუდვები ზედსართავული პერიფრაზირების ან/და ზმნიზედებთან თავსებადობის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ გვაძლევს საშუალებას სემანტიკური ნიშნით ავხსნათ ზოგიერთ ტიპის ზმნათა ჯგუფში არსებული ასიმეტრია: მაგ. პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების ჯგუფში არსებული ასიმეტრია, როგორც შინაარსობრივი, ასევე სინტაქსური თავისებურებების თვალსაზრისით.

დამოწმებანი

- ბარსალუ 1992:** Barsalou, L. W. Frames, concepts, and conceptual fields. In A. Lehrer and E. F. Kittay (eds.): *Frames, fields, and contrasts: New essays in semantic and lexical organization*. (pp. 21-74). Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Associates.
- გამერშლაგი 2008:** Gamerschlag, T. Stative Dimensional Verbs. Handout for the presentation at CIL 18.
http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Allgemeine_Sprachwissenschaft/Dokumente/Thomas/Handout%20CIL18.pdf
- ლიობნერი 1979:** Löbner, Sebastian. *Intensionale Verben und Funktionalbegriffe*. Tübingen. Narr
- პეტერსენი 2007:** Petersen, W. Decomposing Concepts with Frames. In J. Skilters & F. Toccafondi & G. Stemberger (eds.): *Complex Cognition and Qualitative Science. The Baltic International Yearbook of Cognition, Logic and Communication*, Vol 2, (pp. 151-170). University of Latvia.
- სუხიშვილი, მ. 1976:** სტატიკური ზმნები ქართულში. თბილისი: „მეცნიერება“.
- ფხაკაძე 1984:** პირველი თურმეობითის ფუნქციები ქართულში. თბილისი: თსუ გამომცემლობა
- ღვინაძე, თ. 1989:** ქართული ზმნის ვნებითი გვარის სტილისტიკა. თბილისი: „მეცნიერება“.

ლიტერატურა

- Asatiani, R. 2008:** “Structural Model of the Georgian Verb Forms,„. In: *Language, Logic, Computation. Tbilisi: TSU*.
- Hewitt, B. G. 1995:** *Georgian. A structural reference grammar*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

- Evans, N. & Wilkins, D. (2000):** “In the mind’s ear: The semantic extensions of perception verbs in Australian languages.” *Language*, 76, 546-592.
- Löbner, S. 1990:** *Wahr neben Falsch. Duale Operatoren als die Quantoren natürlicher Sprache*. Tübingen: Niemeyer.
- Viberg, Å. 1984:** The verbs of perception: a typological study. In B. Butterworth (Ed.), *Explanations for language universals* (pp. 123-162). Berlin: Mouton.
- ჯორბენაძე, ბ. 1980. *ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Stative Dimensional Verbs in Georgian


Tinatin Kiguradze

1. Forms of encoding a dimension

Stative Dimensional Verbs (SDVs) correspond closely to functional concepts in the sense of Löbner [Löbner1979:34] and can be represented in frames in the sense of Barsalou [Barsalou 1992:21], Petersen [Petersen 2007] and Gamerschlag [Gamerschlag 2008]:

Funcioanal concept ↔ stative dimension verb

saxeli (name) ↔ hkvia (verb: BE CALLED)



There are several ways to indicate the value specification of an object:

(1.a.) *Nominal variant:*

(Geo): ვაშლის ფასი არის სამი ევრო.

(Eng): *The price of the apples is three euros.*

(1.b.) *Adjectival variant:*

(Geo): *ვაშლი სამი ევრო ძვირია

(Eng): **The apples are three euros dear.*

(German): *Die Äpfel sind drei Euro teuer.*

(1.c.) *Verbal variant:*

(Geo): ვაშლი ღირს სამი ევრო.

(Eng): *The apples cost three euros.*

This paper deals with the third variant, i.e. stative dimensional verbs, in Georgian, which have the following properties:

They are stative and encode a dimension of a subject referent.

They allow value specification of an encoded dimension.

2. SDV and Functional Concepts

Georgian SDVs have systematical counterparts in the form of functional concepts:

(2.a) ვაშლი ორ კილოს ი-წონ-ი-ს და სამი ევრო ღირ-ს.
vašli or k'ilos i-č'on-i-s da sami evro yir-s

The apples weigh 2 kg and cost 3 euros.

Corresponding functional concepts are:

(2.a) ვაშლის წონა არის ორი კილო, ხოლო ფასი - სამი ევრო.
vašlis č'on-a aris ori kilo, xolo pasi sami evro

The weight of the apples is 2 kg and the price is 3 euros.

As these examples show, counterparts are not always equal on the morphological level: (3) yir-s (cost) and (4) pasi (price) neither in Georgian nor in other languages. However, there are corresponding verbal and nominal variants for both (3) and (4):

(3.a): yir-s * yir-eb-ul-eb-a
verb (derived) noun

(4.a): pasi * pas-ob-s
noun (derived) verb

In both cases derived words undergo semantic change from concrete to abstract: The noun in (3.a) indicates an abstract "price" such as "value", and the verb in (4.a) also denotes abstract value.

3. SDVs and their Relations to Adjectives/Adverbs

As opposed to nominal variants, there are no adjectival counterparts to SDVs in Georgian as shown in (1.b). Instead of this, derived adjectival nouns are used in the genitive case

(5) ხე ორი მეტრის სიმაღლის არის.
Tree two metres height is.

However such constructions are restricted to an official or scientific register.

The use of adverbs with SDVs is also very restricted:

(6.a)* მას უცნაურად ჰქვია.
He strange verb-BE CALLED

Only the nominal variant allows a corresponding adverb:

(6.b) მას უცნაური სახელი ჰქვია
He-DAT strange (ADJ) name verb(NAME)3.SG

4. Simple / Primary SDVs

The group of simple SDVs is represented by a variety of verb types in Georgian with different morphological structures, such as the so-called dynamic passive verbs, stative verbs, medium and inversion verbs:

(7)

SDV	Verb Class	Dimension
a. ვაშლი სამი ევრო ღირს. vašli sami evro yir-s The apples cost three euros.	Medium	Price
b. მას ჰქვია გელა. mas hkvia gela. He is called Gela (His name is Gela)	Inversion verb	Name
c. სახლი მდებარეობს ტყის პირას. saxli mdebareobs t'qis p'iras.. The house is situated at the edge of the wood.	Medium	Location
d. ოპერა გრძელდება სამი საათი. op'era grželdeba sami saati. The opera lasts three hours.	Suffix passive	Length
e. 'monde' ნიშნავს სამყაროს. 'monde' nišnavs 'samqaros'. 'monde' means 'world'.	Medium	Meaning
f. მანქანა მარინას ეკუთვნის. mankana marinas ek'utvnis. The car belongs to Marina.	prefix passive	Owner

The semantic feature which all these verbs have in common is an indication of a dimension of the subject referent.

5. Types of Dimensions and Properties of SDVs

5.1 Scalar and non-scalar Dimensions

Some dimensions encoded by verbs in (7) are scalar values as in (7.a) and (7.d) with a range from 1 lari/euro or hour to ∞. All other verbs in (7) exemplify non-scalar dimension encoding.

5.2 External and inherent Value Specification

All the examples above represent external value specification. Only a small number of SDVs can be verbs with inherent value specification:

- (8.a) ნავავი ყარს.
The garbage stinks.

Such verbs do not need external value specifiers, whereby further specification is also possible:

- (8.b) ნიაზი ნივრის სუნით/სუნად ყარს.
Niazi stinks of garlic.

5.3 Absolute Use

The absolute use of SDVs is very common in German: e.g. Die Äpfel kosten (teuer) – The apples cost (dear), but very uncommon in Georgian. Only nominal variants or figuratively used SDV allow absolute use:

- (9.a) ფეხსაცმელს სუნი აქვს (ცუდი).
The shoes smell-NOUN have (bad).
(9.b) ამ კონცერტზე წასვლა ღირს.
This concert is worth (VERB-cost) going.

5.4 One-, two- and three-dimensional SDVs

Some SDVs encode two or more dimensions. These are mostly location verbs, as they denote in most cases not only location, but also the kind of location such as *k'idia* (to be hung), *g'dia* (to lie on the ground). Georgian is rich in such location verbs. Many of them can indicate even a third dimension by means of:

- a. a supressive version affix *a-*: *alagia* (to lie, PL), *apenia* (to lie, applied with some wide but thin material);
b. other version types: *m-i-lagia* (to lie near 1st pers. or belonging to 1st pers.) / *u-lagia* (to lie near 3rd pers. or belonging to 3rd pers.), *m-i-g'dia* (to lie on the ground near 1st pers. or belonging to 1st pers.) / *u-g'dia* (to lie near 3rd pers. or belonging to 3rd pers).

Thus two- and three-dimensional SDVs encode two basic dimensions, such as a general location and the kind of location. Differentiation is made by the further specification of the location indicating either relation to some surface or person.

6. Secondary SDVs

Some verbs which are not primarily SDVs assume SDV semantics in some contexts (e.g. habitual reading) or by means of some mechanisms (reflexivization). Thus even transitive verbs can gain stative semantics [Sukhishvili 1976:96] and a passivization strategy specific to Georgian is most productive for derivation of

secondary SDVs: Georgian “prefix passive verbs” allow both habitual reading and impersonal constructions.

Habitual reading is a productive mechanism for Georgian medial verbs to assume SDV semantics, as in:

- (10) ძეგლი დგას რუსთაველის გამზირზე.
The statue stands on Rustaveli Avenue.
Among the “dynamic passive” verbs, prefix *i-* passives are most common:
ეს წიგნი კარგად იყიდება / იკითხება
This book sells well / is being read well.

In this context, dynamic verbs become habitual and stative, encoding the property of a subject referent such as “readability” or “ability to be sold”.

In contrast to primary SDVs, adverb combination is largely not restricted with such “passive-form” SDVs in Georgian.

7. Experiencer verbs

In Georgian there are only a very small number of SDVs derived from experiencer verbs. Georgian does not have any equivalent verbs for “smell” and “taste”. The verb *gamoiquireba* (look) is restricted to humans or personalized objects such as a car, but with a very small number of combinable adverbs:

- (12) ეს მანქანა კარგად / მშვენივრად / *ლამაზად / *ცუდად / *ძვირად გამოიყურება.
This car looks good / fine / *beautiful / *bad / *expensive.

Only the first two adverbial variants are valid for Georgian. The other three adverbs are not allowed in this context.

The lexical gap of feeling verbs in Georgian is partly covered by the verb *čans* (seem) in Georgian, used with adjectives, however. An alternative use with adverbs changes the sentence semantics from “seem” to visibility:

- (13.a) ეს მანქანა კარგი / ლამაზი / მშვენიერი / ცუდი / ძვირი ჩანს.
This car seems to be good / nice / beautiful / bad / expensive.
(13.b) ეს მანქანა კარგად / ცუდად ჩანს აქედან.
This car is clearly / poorly visible from here.

8. Importance of SDV study in Georgian

SDV study in Georgian is a study of different verb types mainly from a semantic point of view, which can cover existing asymmetries in morphosyntactically arranged verb groups, such as prefix passives with a wide variety of semantically totally different verbs, and on the other hand investigate ways of realisation of value phrases by SDVs and the correlation between functional concepts and adjective or adverb combinations with SDVs.

Sources

- Barsolou L.W. 1992:** *Frames, concepts, and conceptual fields*. In A. Lehrer and E. F. Kittay (eds.): *Frames, fields, and contrasts: New essays in semantic and lexical organization*. (pp. 21-74). Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Associates.
- Gamerschlag, T. 2008:** *Stative Dimensional Verbs*. Handout for the presentation at CIL 18.
http://www.phil-fak.uni-duesseldorf.de/fileadmin/Redaktion/Institute/Allgemeine_Sprachwissenschaft/Dokumente/Thomas/Handout%20CIL18.pdf
- Löbner, S.1979:** *Intensionale Verben und Funktionalbegriffe*. Tübingen. Narr
- Petersen, W. 2007:** *Decomposing Concepts with Frames*. In J. Skilters & F. Toccafondi & G. Stemberger (eds.): *Complex Cognition and Qualitative Science. The Baltic International Yearbook of Cognition, Logic and Communication, Vol 2*, (pp. 151-170). University of Latvia.
- Sukhishvili, M. 1976:** *Stative Verbs in Georgian (in Georgian)*. Tbilisi: Metsniereba.
- Phkhakadze, D. 1984:** *Functions of the First Evidential in Georgian (in Georgian)*. Tbilisi: TSU
- Ghvinadze, T. 1989:** *Stylistics of the Passive Voice of Georgian Verbs (in Georgian)*. Tbilisi: Metsniereba.

Literature

- Asatiani, R. 2008:** *Structural Model of the Georgian Verb Forms*. In: *Language, Logic, Computation*. Tbilisi: TSU.
- Djorbenadze, B, 1980:** *Principles of Formal and Functional Analyses of Georgian Verbs*. Tbilisi: TSU
- Hewitt, B. G. 1995:** *Georgian. A structural reference grammar*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
- Evans, N. & Wilkins, D. 2000:** *In the mind's ear: The semantic extensions of perception verbs in Australian languages*. *Language*, 76, 546-592.
- Löbner, S. 1990:** *Wahr neben Falsch. Duale Operatoren als die Quantoren natürlicher Sprache*. Tübingen: Niemeyer.
- Viberg, Å. 1984:** *The verbs of perception: a typological study*. In B. Butterworth (Ed.), *Explanations for language universals* (pp. 123-162). Berlin: Mouton.